სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 15 დეკემბერს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *კონდრატიევი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №5203/09*

აპლიკანტი სერგეი კონდრატიევი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1962 წელს და ამჟამად ხუთწლიან სასჯელს იხდის ნარკოტიკების მოხმარების გამო. იგი დაავადებულია ტუბერკულიოზით და აწუხებს მუხლის ტრამვა, რომელიც ციხიდან გადაყვანისას მიიღო. განმცხადებელი ჩივის, რომ მას არაადაკვატურად მკურნალობდნენ პატიმრობის პერიოდში, რაც მისი აზრით წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ამას გარდა იგი მიუთითებს კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის „c“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის III ნაწილის დარღვევაზე მისი უკანონო პატიმრობის გამო, რომელიც ორ წელსა და ექვს თვეს გაგრძელდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ტუბერკულიოზის არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობის გამო, ხოლო მუხლის ტრამვასთან დაკავშირებით ჩატარებული მკურალობის გამო არ მიიჩნია აღნიშნული მუხლი დარღვეულად. რაც შეეხება კონვენციის მე-5 მუხლის I და III ნაწილებს, სასამართლომ ორივე პუნქტი დარღვეულად ჩათვალა. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *ოლეინიკოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №38765/05*

აპლიკანტი ვალენტინა ოლეინიკოვა უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს ხარკოვში (უკრაინა). საქმე ეხება მის განცახდებას იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების წარმომადგენლება ვერ ჩაატარეს ჯეროვანი გამოძიება მისი 19 წლის ვაჟის გარდაცვალების ფაქტზე, რომელიც 2002 წლის ივლისში მოხდა. განმცხადებლის ვაჟი მეგობრებთან ერთად კემპინგზე იყო წასული და იგი მოგვიანებით დამხრჩვალი იპოვეს ტბაში. ქალბატონი ოლეინიკოვა გამოთქვამს ეჭვს, რომ მისი ვაჟი მოკლეს და არ იჯერებს გამოძიების ოფიციალურ ვერსიას უბედური შემთხვევის თაობაზე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არაეფექტური გამოძიების გამო. სახელმწიფოს დაეკისრა 12.000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

- *ვენისოვი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №30634.05*

აპლიკანტი დიმიტრი ვენისოვი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1968 წელს და ცხოვრობს სტარი კრიმში (უკრაინა). იგი პოლიციის ყოფილი ოფიცერია. 2005 წლის ივნისში ძალაუფლების გადამეტების ეჭვის საფუძველზე მას წაუყენეს ბრალდება და დააპატირეს. განმცხადებელი ჩივის უკანონოდ დაპატიმრებისა და პატიმრობის პირობების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და მე-5 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 6000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეები</u>

- *ბეგუში სლოვენიის წინააღმდეგ – განაცხადი №25634/05*
- *ორლოვი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №5842/05*

ზემოხსენებული საქმეები ეხება აპლიკანტთა განაცხადებს მათი სამოქალაქო საქმეების გაჭიანურებით განხილვას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ორივე საქმეში.